დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

მოლრინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლეში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: **თფილისში**, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და **გარეშე ქალაქებში**—„დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 იელისიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანერამდი) გაგზავნით და გაუგზავნელად—4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

ადამიანით ვაჭრობა

ნუ გგონიათ, წავიდა ის დრო, როდესაც სილამაზით განთქმულ ქართველ ქალებს, როგორც პირუტყესა ანუ უბრალო რამ ნივთს, ჰყიდნენ შიგ საქართველოში ანუ ოსმალეთში.

ეს საზიზღარი ვაჭრობა ადამიანითა, მართალია, ახლა ისე ხშირი არ არის, როგორც ადრე ყოფილა; მაგრამ რომ ახლაც არა იშვიათად ხდება, ამის დასამტკიცებელად ის მაგალითი მოგეყვეს, რომელიც ‘მარშან ოდესაში მოხდა:

ამ ქალაქში დაიჭირეს ერთი მეგრელი, რომელსაც თავის საკუთარი ქალი წამოეყვანა და სტამბოლში მიჰყავდა გასასყიდლად. ამ საქმეში იმას ეხმარებოდა თავის ვაჟი—ქალის ძმა!

ინგლისის პარლამენტში ამას წინათ გაცხარებული ლაპარაკი იყო ზანგების (ნეგრების) დაჭერაზე და ვაჭრობაზე, და ამ დროს მოიხსენიეს, რომ საქართველოს ქვეყნიდამაც ხშირად ჰგზავნიან ოსმალეთში ახალგაზდა ბიჭებსა და ქალებს გასასყიდლათო და ამ გარემოებას ევროპის სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონო.

ეს შემთხვევები აღმოჩნდა და ქვეყანამ შეიტყო; ახლა რამდენი ამისთანები ხდება დაფარულად, ისე, რომ კაცი ვერ ტყობულობს?

წელიწადი არ გავა თურმე, რომ ბურიიდამ და სამეგრელოდამ ახალგაზდა ქალი არ გაიყვანონ სამზღვარ გარეთ და ოსმალოს ჰარემებში არ გაჰყიდონ!

მაგრამ არის კიდევ მეორე ნაირი ვაჭრობა ჩვენებური ქალებისა, რომელსაც არავინ არ აქცევს ყურადღებას, რომელიც ერთის შეხედვით შესაწყნარებელ საფუძველზე დამყარებული ეჩვენება კაცს:

ახლანდელი ადამიანის უმსგავსმა ცხოვრებამ ყველა ქალაქებში გააჩინა ისეთი საზოგადო სახლები, სადაც ქალები თავის სხეულით ვაჭრობენ... ამისთანა სახლების გამგებლებად უფრო ხშირად მოხუცებული, გარყვნილი დედა-კაცები არიან ხოლმე.

ყურადღების ღირსია ის საშუალება, რომლითაც ეს დედა-კაცები თავიანთი „ზაევდენიისთვის“ ცოცხალ საქონელს შოულობენ:

როცა ეს საქონელი დაუძველდებათ, შემოეცვითებათ, წავლენ ყველაზე უფრო ხშირად იმერეთისა და სამეგრელოსაკენ, დაათვალიერებენ სადაც ლამაზი ახალგაზდა ღარიბი ქალია, ან თვითონ შეუჩნდებიან, ან სხვას ვისმე შეუჩენენ, ეტყვიან, რომ ერთ დიდ კაცს გოგო ეჭირებაო, თუ გინდა, წამომყვები და დაგაყენებო, კარგათ შეგინახვენ და კარგ ჯამაგირს მოგცემენო.

ამნაირი ხელოვნური სახსრით მოტყუებული ქალი გაჰყვება დედა-კაცს, რომელიც კარგათ მოგეხსენებათ—სადაც წაიყვანს იმას და რა გზაზედაც დააყენებს.

ერთხელ თავის შეყოფა ამისთანა სახლში და სამუდამოთ თავის თავის გაყიდვა და დაღუპვა—ერთია: დახელოვნებული დედა-კაცი, მართალია, არჩენს და აცმევს ამ ქალს, მაგრამ ყოველ მანეთის საღირალში ხუთი მანეთის ეექსელს ართმევს და სანამ არ გადუხდის ვალს, სანამ თვითონ იმისთვის სასარგებლოთ არ იქნება იმის გაგდება, მანამ არ გაუშვებს, მანამ ამ საძაგლობისა და გარყვნილების სახლში დატყვევებულია და თავის სხეულითა და სილამაზით უნდა ივაჭროს...

„სასოფლო გაზეთში“ მოყვანილია ერთი მაგალითი, რომ ვიღაც დედაბერს ერთი იმერლის ახალგაზდა ქალი შეუტყუვილია რკინის გზის ვაგონში, ჩამოუყვანია თფილისში და სამ თუმნათ მიუყიდნია ვიღაც მეგრელისათვის, რომელსაც თავის მხრით საროსკიპო სახლში მიუყიდნია სამ თუმან ნახევრად. აქ ვიღაც ნათესავი შეხვედრია, შეუჩიენია და იმას გამოუხსნია და დიღომში წაუყვანია, რომლის მამასახლისსაც ეს ქალი და იმის გამომყიდველ-მყიდველები მთავრობისთვის წარუდგენია.

ვინ მოსთვლის ამისთანა მაგალითებს?!

ერთი მითხარით ახლა: განა ამისთანა მდგომარეობაში ჩაეარდნილი ქალები, ათასჯერ უფრო საცოდავები, უფრო ყურადღების ღირსნი არ არიან, ვიდრემ ისინი, რომელთაც ოსმალოს ჰარემებში თითო-ოროლად ჰყიდიან და რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ხოლმე?!....

ს. მესხი

დღიური

□ ერთი ჩვენი „გაზეთის თავის დროზე წაკითხვის მსურველი“ ახალსენაკის ფოჩტის განყოფილებაზე სამდურავს გვწერს, რომ თავის დროზე გაზეთს არ მაძლევენო, ფოჩტის ზედამხედველმა მითხრაო, რომ თუ გინდათ ყოველთვის თავის დროზე მიიღოთ გაზეთი, ჩემ ბიჭს მიეცით თვეში ათი შაურიო და რად მიეცეო, როდესაც მე თვითონ ფოჩტის სტანციიდამ სულ ათ საჟენ სიშორეზე ვდგევარ და კარგათ შემიძლიან ყოველთვის ჩემი ბიჭი გავაგზავნოო...

მადლობა ღმერთს, წელს ამ გვარი საჩივრები იშვიათად გვესმის ხოლმე ჩვენი მკითხველებისაგან; და ვისგანაც მივიღეთ, იმწამსვე დავაკმაყოფილეთ, თუმცა ამაში ჩვენ სრულებით დამნაშავე არ ვიყავით.

ამასთანავე ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ ფოჩტა ვალდებული არ არის შინ მიუტანოს ხელის-მომწერთ გაზეთი. ყოველი ხელის-მომწერი წიგნის მატარებელს უნდა გაურიგდეს ან თვითონ უნდა წამოაღებინოს გაზეთი ფოჩტიდამ.

□ ჩვენმა ქალაქის გამგეობამ, ბევრი მოლაპარაკებისა და ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, ბოლოს გადაწყვიტა ერთი ქუჩის მორწყვა: ის ვალდებულად ხდის ყველა სახლის პატრონებს, რომელთაც კი მიხაილოვის ქუჩაზე შენობა აქვთ, რომ თავიანთი სახლების წინ ეს ქუჩა „თავის დროზე“ მორწყონ.

ფელეტონი

ლეონ გამბეტა

—

თითქმის ყოველთვის, როცა ხალხის მოძრაობა, აღრეულობა ანუ რევოლიუცია ყოფილა შესახებ სახელმწიფო წყობილებისა ანუ სოციალურის მდგომარეობისა, ყოველთვის ამ გვარს შემთხვევებს გამოუწვევიათ წინ ისეთნი პირნი, რომელნიც გამოხატვიდნენ და იცვამდნენ ამ უკმაყოფილო ნაწილის სურვილსა და მოთხოვნილებასა, და მასთან მათზე ყოფილა დამოკიდებული ქვეყნის ბედი და უბედურობა ამ შფოთიან დროში. ეს ცოტათი არ იყოს გაამართლა 1870 წ. საფრანგეთის რევოლიუციამ და გაგვაცნო იმ პირებს, რომელნიც გახდნენ დროებით მართველათ დაცემულის დაღონებულის და ნემცებისაგან გაოხრებულის ქვეყნისა.

ამათში, როგორც ახალმა ძალამ, ნამდვილმა დამცველმა სამშობლოს ინტერესისა და წარმომადგენელმა დემოკრატიული რესპუბლიკისა, უპირველესი ალაგი ახალს რესპუბლიკაში დაიკავა ლეონ გამბეტამ.

„დროების“ მკითხველებს ხშირათ გაუგონიათ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში გამბეტას სახელი, მაგრამ შეიძლება არ ჰქონოდათ ბევრს მათგანს შემთხვევა დაახლოებითი გაცნობისა, ამისთვის ეგონებ სასიამოვნოთ და საინტერესოთ დაურჩებათ, რომ შეძლებისა დაგვარათ რიგიანათ გაიცნონ უფრო მისთვის, რომ გამბეტას გაცნობა შეიცავს საფრანგეთის ახალ რესპუბლიკელ შთამომავლობის და იმ ძლიერი პარტიის გაცნობას, რომლის მზგავსი საფრანგეთში ამდენ ხანს არ ყოფილა.

I

ლეონ გამბეტა დაიბადა 30 (18) ოქტომბერს 1836 წ. მამა მისი გენუიდან (იტალიიდან) გადმოესახლა საფრანგეთში და დაებინავა სამუდამოთ ქაჰორში (გარონის დეპარტამენტში). აქ იმან ვაჭრობა დაიწყო და ცოტა ხნის შემდეგ თავის ტოლ-ამხანაგებში დაიმსახურა სახელი ფულიანი კაცისა. ამ დროს შვილიც იმდენათ წამოეზარდა, რომ უნდა ეფიქრნა მის მომავალზედ.

როგორც ყველა მამებს საზოგადოთ, ამასაც რასაკვირველია სურდა, რომ მის შვილს ლეონს მომავალში ის უწარჩინებულესი ალაგი დაეჭირა, რაც მისის ჰაზრით საუმჯობესო იყო მისთვის. როგორც იტალიელი იმას ყველაზე უკეთესათ და ღირსეულათ მიაჩნდა მღვდლობა და ამისთვის იმან ლეონი შეიყვანა მონტობანის სემინარიაში, და როცა აქ სწავლას შეასრულებდა, მღვდლათ უნდა შეეულიყო.

მაგრამ პატარა ლეონი ბუნებას

ეს ერთი ქუჩა, ისიც ისეთი, რომელზედაც მხოლოდ საღამოობით მირბი-მორბის და მიარახუნ-მოარახუნებს ფაეტონებსა ჩვენი ქალაქის შეძლებული ხალხი! დანარჩენ ქუჩებმა კი რაღა დააშავეს, სადაც უფრო მომეტებული მოძრაობა და მაშასადამე მტვერია?!.

□ შარშან მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის ყოფილან დატყვეებულნი:

თ ფ ი ლ ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა ში:

ქალაქის გამომეძიებლებისაგან — 65 კაცი, ქალაქის უეზდის მომრიგებელ სასამართლოსაგან — 62, თელავში — 32, ზორში — 27, ახალციხეს — 13, დუშეთს — „, სიღნაღს — 48, ზაქათალს — 22, ოლქის სასამართლოს პროკურორთან — 230; სულ — 499 ბრალდებული.

ქ უ თ ა ი ს ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ა ში:

ქალაქის გამომეძიებლებისაგან — 22, უეზდის — 5, ზუგდიდ-ს უეზდში — 11, სენაკ-ს — 3, რაჭის — 3, ოზურგეთის — 3, შორაპანის — 3, ფოთის — „, ოლქის სასამართლოს პროკურორთან — 48. სულ ზემოხსენებული ოთხი თვის განმავლობაში, ქუთაისის გუბერნიაში — 96 ბრალდებული ყოფილა დატუსაღებული.

□ სოფ. მუხრანს, თთ. ესტატე და ივანე მუხრანიანთ მამულში თამბაქოს მოყვანა დაუწყიათ ამ რამდენიმე წლის წინათ, და, როგორც ამბობენ, ისეთი ალაგია, რომ ძალიან კარგი თამბაქო მოდისო.

„დროების“ კორრესპონდენცია

საჯავახოდამ, 22 ივლისს

ყველაფერს ცვლილება აქვს დედა-მიწის ზურგზედ, ყველა ესწრაფება გაუმჯობესობის, განათლების წრეში ფეხი გადადგას, ყველა სულდგმული იღვიძებს და მოძრაობს, — აქ კი ერთი იოტის ოდენა ცვლილება არ მოსმდარა. ეხედავ, რომ ისევ ის საჯავახოა, როგორიც იყო რამოდენიმე წლის წინათ, ხალხი ისევ ისეა ხელ-გულ დაკრეფილი, მკვდარ-ცოცხალი, მძინარ-მღვიძარი, ჯურღმულში ჩამხრჩვალი და დახშული გულითა.

საჯავახო იყო წინეთ, დიამბეგობის დროს, უჩასტკა, როგორც ეძახდნენ ხოლმე; შესდგება რამოდენიმე სოფლებიდგან და განიყოფება მდ. ხვეის-წყალით ორ ნაწილად: იქითა საჯავახო ეკუთვნის ზურიის საეპარქიოს, აქეთა — ქუთაისისას. აქეთა საჯავახოს ეთვლება ოთხი სოფელი: აბაშა, ნიგორზღვა, ნოღა და ქვაყუდე, რომლებთა შორის პირველი ადგილი უჭირავს პირველს (აბაშას) მისთვის უფრო, რომ აქ სცხოვრებს უმთავრესი, ე. ი. უფრო მაღალი ხარისხის ხალხი, — ამ სოფლების მღვდლები და მთავარ-დიაკვნები, ყველანი ერთი გვარისანი. ამ სასულიერო წოდების პირთა სამოსახლო იყო ზამოჩინებულის არე-მარე *), უდაბური ტყე. როგორც ეხედავ, ესენი ისევ აქ ბუდობენ, და არც ჰფიქრობენ ამ ნადირთა „მირა-მორესა“ მოშორდნენ თუმცა, ღვთის წინაშე, ზოგიერთები გადასახლებულან აბაშაში.

ეხლა, მამასახლისობის დროს, ეს ოთხი სოფელი ერთ საზოგადოებას, სამამასახლისოს შეადგენს. აბაშის სამამასახლისოში ითვლება ექვსასი კომლი. ამათში ბევრნი არიან ოთხ კლასიანები, რიგიანი სწავლულები, რომლებთაც ანა-ბანას სწავლება მაინც შეუძლიანთ სხვებისთვის.

თუმცა ამოდენა საზოგადოებაა მღვდელი, თუ ერი, გლეხი, თუ აზნაური, სწავლულებიც ბლომად არიან, არც ისეთი მაინცა და მაინც სიღარიბეა, ხალხსაც დიდი სურვილი აქვს სწავლისა; მაგრამ რას ეხედავ? ჯერ ერთი უბრალო შკოლაც არ განცხადებულა საჯავახოში. შარშან წინ ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი შეჰპირდა მღვდლებს ჩინზედ წარდგენას, თუ ოც-ოც ყმაწვილებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ლოცვებს.

მოგეცათ ღვთის წყალობა, როცა პირად საგებლობაზედ მიეარდა საქმე, იმათ ხელი გამოიღეს და თავი გამოიჩინეს. შეკრიბეს ცალ-ცალკე შაგირდები (კარგა ბლომათ ჰყავდათ როგორც ვაჟები, ისე ქალებიც) და მშვენიერად ასწავლეს წერა-კითხვა ქართულად, რუსულად და ლოცვები.

მე მეგონა, თუ ეს არის ამ შკოლას აღადგენენ ფეხზედ და მუდამ იქნება მეთქი, მაგრამ, ნუ მოგეცათ ღვთის რისხვა; — იმოვეს თუ არა „ბედნიკები“, სკუპიები და კამილაეკები, მსწრაფლ დაითხოვეს შაგირდები და მას აქეთ ყველა თავთავისთვის იხვეჭება, თორემ საზოგადო საარგებლო საქმეს არ დასდევენ.

რა არის მიზეზი, რომ ვერ მოუხერხებიათ შკოლის გაკეთება? ესიც საქმეა, მღვდელია თუ ერი რომ შეაგონოს ხალხს, ვისაც დიდი გავლენა აქვს ხალხზედ, ვისაც რაიმე გაეგება, ისინი ერთმანერთის მტრობაში არიან; ერთმანეთს კბილით გლეჯამენ და სად სცალიანთ ამაებისთვის! ამათი მაყურებელი სოფლის ხალხი რაღა უნდა იქმნეს!

„როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო“, ნათქვამია, რასაც ესენი ჩასძახებენ, ისინიც იმას ამოსძახებენ. ეს პატიოსანნი გვამნი შეიკრიბებიან ეკკლესიაზედ, ან სასამართლოს წინ, დასხდებიან მინდორში, ან დაეყრდნობიან თავიანთ ჯოხებზედ და ნაცვლად მისა, რომ ისარგებლონ შემთხვევით და უქადაგონ, ჩაგონონ რაიმე უმეცარ ხალხს, დილიდამ საღამომდე ან ტყუვილ-უბრალო ოცნებაში აღამებენ ძვირფას დღეს, ანა და ასტეხამენ ბაასს. ისევ გლეხები თუ გაახსენებენ, რომ ისინი არ არიან უბრალო პირნი, რომ არ ეკადრება სამღვდელო პირს საზოგადოებაში ცუდ უბრალო ბაასი გლეხთან თავის გასწორება და სხვ. მხოლოდ ამ გვარი მოქმედებაები დაამშვიდებენ, ხოლმე იმათ. არ გეგონოსთ, რომ მარტო ერთხელ, ან ორჯელ მოხდეს ამ გვარი შემთხვევა! არა, თუკი როდისმე მოიყარეს თავი, მერწმუნეთ მუდამ ერთსა და იმავე მსგავს სცენას შეხვდება კაცი.

თუმცა ამოდენა სწავლული კაცია, როგორც ესთქვი, მაგრამ ერთ გაზეთს არ იწერამენ საზოგადო-ჯამით მაინც, რომ გაიგონ, რა ხდება ქვეყნიერობაზედ. თავიანთი ფულით რა ბრძანებაა, — გლეხებს უგზავნიან „სასოფლო გაზეთს“, მაგრამ როგორც მე არ მაქვს გაგება და არ ეკითხულობ სანსკრიტულ ენაზედ ნაწერებს, ისე იმათ არ იციან, რა არის ეს გაზეთი, რაებსა სწერენ შიგ. ღვთის წინაშე, ერთი ბლაღოჩინი კი იწერს „დროებას“, მაგრამ სხვებს წაუკითხავს კი არა, ღმერთი რომ გამოეცხადოს, იმასაც არ ათხოვებს.

არიან აქაურნი მცხოვრებნი ისე მიყუჟულები თავ-თავიანთ ქოხებში, მოშორებულნი ყოველივე სიტკბოებას, ყოველივე განათლებას, ჩავარდნილები უმეცრების სიღრმეში, გატაცებულები ერთმანერთის შურისა და სიძულილისა, ზვირთებში. ღომით და მჭადით თუ გაიძღეს კუჭი, სხვა არაფერი არ აწუხებსთ.

სიღარიბე არ არის მეთქი, ვერ ვიტყვი; მაგრამ სიღარიბე აქ უფრო ხალხის უმეცრებისა და ცუდი მდგომარეობის ბრალია, ვიდრე ბუნებისა.

ნიადაგი საკმაოდ აძლევს სიმინდს, ღომს და პურსაც, მაგრამ მეტის-მეტი წინდაუხედველობისაგან ის ემართებათ, რომ როცა კარგი მოსავალია, მოსდგებიან და სულ ჰყიდიან ჭირნახულს ნახევრის ფასად, — იკლებს მოსავალი, — და „მამასისხლათ“ ჰყიდულობენ.

ერთი დიდი სასიმინდე (მაღაზია) აეშენეს სასამართლოს წინ იმ მიზნით, რომ მოაგროვონ საზოგადოთ სიმინდი, იქ შეინახონ და როცა ვინმეს შემოაკლდება, იქედამ ასესხონ მომავალ წლამდე. სამი წელიწადია ვხედავ ამ შენობას, მაგრამ ერთი ტარო სიმინდიც არ მინახავს ჯერ იქ. ეხლა საპატიმროს როლს თამაშობს ეს იმათი მაღაზია, რომელშიაც ხანდისხან შეაბრძანებენ დამნაშავე პირს.

ჭურდობა აქ თუმცა ძალიან იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ თუ რაიმე მოიპარა კაცმა, მხოლოდ ერთი საშუალება აქვსთ: გააპობენ ჯოხს ოთხად, ჩაასობენ მიწაში, ნაპობში ჩაარჭობენ მწარე მცენარეს და „ღმერთო, ისე გაუმწარე ყელი, და გოროლ

სამღვდლოთ არ განუწესებია: მისმა გამჭრიახმა გონებამ ვერ შეითვისა სამღვთო წერილის სწავლა, მისმა ცოცხალმა აგებულებამ ვერ შესძლო, რომ გამოსულიყო ძალ-უნებურათ მლოცველათ. უმაწვილმა ვერ შეიძლო სემინარიაში ცხოვრება და ამისათვის მიჰსწერა მამას, რომ

— თუ ეხლავე აქედან არ გამოიყვანე, ერთ თვალს ამოვითხრიო.

მოხუცმა ეს წერილი სიცილით მიიღო, — ან რა დასაჯერებელი იყო? მაგრამ ენახოთ, ერთ დილას სემინარიის რექტორიდამ მოუვიდა ცნობა, რომ ლეონმა დანით ერთი თვალი ამოითხარაო. წარმოიდგინეთ საწყალი მამის მდგომარეობა: გასწია მაშინვე შვილთან, დაუქირავა საუკეთესო ექიმები და როგორც იყო სიკვდილს გადაარჩინეს. სემინარიიდან კი მაინც არ გამოიყვანა.

არ გაუვლია ამ შემთხვევის შემდეგ ბევრ ხანს, ისევ მოუვიდა შვილისაგან მამას წერილი, სადაც ეუბნებოდა, რომ სემინარიაში ცხოვრება არ შემიძლიანო და თუ ეხლაც არ გამომიყვანე, მეორე თვალსაც ამოვითხრიო. შეწუხდა მოხუცი, მაგრამ რა უნდა ექნა, უნდა დამორჩილებოდა მიუცილებელ მოთხოვნილებას, გამოიყვანა სემინარიიდგან და მიაბარა სამოქალაქო კეჰორის გიმნაზიაში სწავლის დასასრულებელათ.

აქ ზამბეტას საქმე სულ სხვანაირათ წავიდა. მოჰკიდა რიგიანათ სწავლას ხელი. უმთავრესი ყურადღება მიაქცია ლიტერატურას და უფრო ბერძნულს და ლათინურს.

მისი საყვარელი ავტორები იყვნენ: ტაციტი და დემოსფენი. მას მალე გაეხსნა საორატორო ნიჭი. ბუნებითი და ფიზიკური ძალა არ აკლდა ტრიბუნისათვის, და მალეც შეითვისა ფორმა, ჰაზრი, მოძრაობა, რომელნიც ორატორებისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. ძლიერი და ტკბილი ხმა, გამოანგარიშებული სიტყვა, აღტაცება, ენტუზიაზმი მის ხელში შეადგენენ უძლიერესს ძალას.

ზამბეტა უნდა ნახოს კაცმა ტრიბუნაზე, რომ ნამდვილი ჰაზრი შეადგინოს მის ორატორულ ღირსებაზე, როცა ის ცოტათი თავს გადახრის, ნამდვილ თვალს ხუჭავს და ჭიქის თვალით, რომელს სინათლის სხივისაგან თითქო ცეცხლი ენთებაო, შეაჩერდება ეს მოწინააღმდეგეს — ეს უგრძნობელი შეჩერება და მჭევრმეტყველური ჭექა-ქუხილი ზარსა ჰსცემს მოპირდაპირეს და ისეთი გაელენა აქვს მსმენელებზე, რომ მოსისხლე მტერიც ვერ იკავებს აღტაცებას.

როგორც არწივისათვის მზე შეადგენს მიუცილებელ საჭიროებას, აგრეთვე თავ-მოყვარე ფრანცუზისათვის — პარიჟი. ზამბეტამ გამოსწია პარიჟისაკენ და პირველათ აქ ადეოკატობა დაიწყო 1857 წელს.

ეს მცენარე, და ისე ოთხად გაუპე თავი, როგორც ამ ჯოხს აქვს, ვინც ესა და ეს მოიპარაო“, გარდაცემენ ხატზე, სხვა არაფერი. თუ გასჭრა იმათმა წყეველამ და გამოაჩინა ქურდი, ხომ კარგი, თუ არა და იქურდე რამდენიც გნებავს!

საჯაოხელი

რუსეთი

✠ რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ ცეცხლის ზიანისაგან მზღვეველ საზოგადოებათ განზრახვა აქვთო, რომ სოფლის შენობებზე საზღვეველი ფასი ერთი-ორად გახადონო, რადგან სოფლებში უფრო ხშირად ჩნდება ცეცხლი, რომლის დაქრობაც იქ უფრო გასაჭირიაო. დღემდი ყოველ სახლში, რომელიც საზღვეველ საზოგადოებაში შეჰქონდათ, ას თუმანში თორმეტ მანეთს ახდეევინებდნენო და დღეის შემდეგ კი ოც-დათხ მანეთს გადაახდეევინებენო.

✠ რადგან ამ უკანასკნელ დროს უფრო საშინლად გავრცელდა ახალ-დაბადებული ყმაწვილების სიკვდილი განსაკუთრებით პროვინციალურ ქალაქებში, ამის გამო, ამბობენ, მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ ამ თავით ზოგიერთ ქალაქებში მაინც გახსნას ისეთი სახლები, სადაც უკანონო შვილებს ძიღებენ და გამოზრდიან.

✠ მთავრობას დაუმტკიცებია, წესდება იმ „ერთმანერთის დამხმარებელი ხელოსნების საზოგადოებისა“, რომელიც მოსკოვში არსდება. საზოგადოების მიზანი ის არის, რომ ფულები მოაგროვონ და, გაჭირების დროს, თუ ფულით, თუ ადგილისა და სამუშაოს შოვნით დაეხმარონ ერთმანეთს.

✠ ერთი სატახტო გაზეთი გვაცნობებს, რომ პროფესორი Ционი გამოვიდა ს.-პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიიდამ და იმის ადგილზე, როგორც ამბობენო, ფიზიოლოგიის პროფესორად ისევ გამოჩენილ სწავლულს სეჩენოვს ეპატიჟებიანო.

✠ ზოგიერთი ღუბერნატორები უმაღლესს მთავრობასთან შუამდგომლობენ ახლა, რომ იმათს გუბერნიაში ისეთი სამეურნეო კრებების უფლება მიეცესთ, სადაც ადგილობრივი მამულის პატრონები შეიკრიბებიან და მეურნეობის სხვა და სხვა საგნებზე მოილაპარაკებენო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ახლად მოსულ უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია ანგარიში იმ სხდომებისა, რომელიც ნაციონალურ კრებას თავის სავაკაციოთ დათხოვნამდინ ჰქონია. ბჰიუჯეტის რამდენსამე მუხლზე მოლაპარაკებისა და სენატის კანონის შემდეგ, ჟულ-ფავრს შეუტანია წინადადება, რომ ბეჭდვის მდგომარეობა გაარკვიონ; ახალი კანონების გამოცემა ბეჭდვის შესახებ აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო, სთქვა იმან; ამისთანა ცუდსა და გაურკვეველ მდგომარეობაში საფრანგეთის გაზეთები და საზოგადოთ ბეჭედი დიდი ხანია არ ყოფილაო.

— თუ რამდენათ სასარგებლოა კლერიკალებისათვის ახალი კანონი, შესახებ უმაღლესი განათლების თავისუფლებისა, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, როცა გაიგებთ, რომ რომის პაპმა ულრლეანის ეპისკოპოსს ლჰიუპანლუს წიგნი მისწერა, რომელშიაც დიდ მადლობას უთვლის იმ შრომისათვის, რომელიც იმან ამ კანონის დამტკიცების დროს მიიღო.

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრთან — დეკაზთან მიწერილი წიგნი სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტის ბჰიუფფესი, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ერულებით ბონაპარტისტების მომხრე არა ვარო. უკანასკნელი ჩემი სიტყვის მიზანი ის იყოო, რომ მინდოდა რადიკალური რესპუბლიკელები მომეშორებინა თავიდამაო. ამბობენ, ამ წიგნით იმას ჭსურს, ორლეანისტები შეირიგოსო, მაგრამ ამათ რესპუბლიკელების დამეგობრება უმჯობინებია ბჰიუფფესთან მეგობრობას, რომელსაც საქმით თითქმის აშკარად ბონაპარტისტების მხარე უჭირავს თურმე.

ოსმალეთი. ბერლოგოვინის აჯანყების უმთავრეს მიზეზს იმას ამბობენ, რომ ხალხი ძალიან შეეიწროებული იყო მომეტებულის გადასახადითა და ოსმალოს მოხელეებისაგანო. რამდენჯერმე სთხოვეს თურმე ხონთქარს, რომ იმათს მდგომარეობაზე ყურადღება მიექცია; მაგრამ არაფერი არ გამოდიოდაო. ბოლოს მოთმინებიდამ გამოსულები აჯანყდნენ და ახლა სისხლის ღვრა შეიქნა.

ოსმალოს ჯარის სარდალს ბერლოგოვინაში ხონთქრისაგან ფიცხელი ბრძანება მისელია, რომ როგორც იქნება რაც შეიძლება მალე დაამშვიდობე და დაიმორჩილე აჯანყებული ხალხიო. რამდენიმეჯერ ჰქონიათ შეტაკება და ორივე მხრით, როგორც ამბობენ, რამდენიმე ასი კაცი დახოცილა.

თუმცა ჩერნოგორიის მმართებლობამ გამოაცხადა, რომ ბერლოგოვინელების დახმარება არავინ გაბედოსო, მაგრამ რამდენიმე ასი კაცი დაიარაღებულან და იმათკენ გადასულან დასახმარებელად. ერთი სიტყვით სერბიაში, ჩერნოგორიაში და სხვა სლავიანურ მიწებში ამ ჟამად დიდი მოძრაობაა და სცდილობენ, რომ ოსმალოს ულელი შეიმსუბუქონ.

ესპანია. უმთავრესი ბანაკი კარლისტებისა ამ ჟამად ნავარას პროვინცია არის, სადაც ისინი ჯერ კიდევ ბლომათ არიან და კარგათაც გამაგრებულან. გაზეთების სიტყვით, აქ უნდა მოხდეს ამათსა და დონ-ალფონსის მმართებლობის ჯარებს შუა უკანასკნელი ბრძოლა და თუ ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა, მაშინ დონ-კარლოსი ძალა-უნებურად უნდა დაემორჩილოს ახლანდელ ესპანიელ მმართებლობას.

სამინისტროს გადაუწყეტია, რომ ესპანიის ყველა კალონიებს დეპუტატების ამორჩევის უფლება ექნებათო და სხვა მხრივაც ამ კალონიების გამგეობა ესპანიის კონსტიტუციურ წყობილებას არ ემგზავსებაო.

ამერიკის რესპუბლიკა. ნიუ-იორკიდამ იწერებიან, რომ მთელი ივლისის განმავლობაში ... ... დაჟინებით მოდიოდა; ... საშინელი წყალ-დიდობა არისო და ბევრგან პურისა და სიმინდის ყანები ძალიან გაფუჭდაო.

ქრონიკა

32

დასკვნა ქართველი ხალხის ცხოვრების პირველ პერიოდში მომხდარ ისტორიული შემთხვევებისა

—

ეს ამბები იყო 1496 წლიდგან ვიდრე 625 წლამდე ქრ. დ. წინ.

5) ფინიკიელებთან ვაჭრობამ ქართველები ისრე გაამდიდრა, რომ იმათი შინაურული მოქალაქობრივი ცხოვრება და სახლ-კარობა შეიცვალა. უფრო უმაღლესმა მოთხოვნილებამ იმათ ახლა ასწავლათ ქვითკირის შენება, და შემოაველეს მცხეთის ქალაქს ზღუდე. ამ დროიდგან ქართველებმა ისწავლეს ქვისა და კირის შენობებზე ხმარება; ამ დროიდგან დაიწყეს ქვის ციხეების აშენება; ამას წინად კი ციხეები ხისა იყო, ესე იგი მესრებით შემოვლებული, რომლის წვერებზედაც, მტერს რომ მოჰკლავდნენ, თავს მოჰკვეთდნენ და ზედ ჩამოაცმიდნენ. ამას ამტკიცებს ძსენოფონტე და ქართული ზღაპრები. ძსენოფონტე 401 წელს პირდაპირ ამბობს თავის ისტორიულს თხზულებაში „ანაბასისში“, რომ ქართველებმა ჩვენი მომხრე ქართველები დახოცეს და თავები ხის ციხის მალალს მესრების თავებზე ჩამოაცვესო და ამ დროს ამათი მეფის სახლიც ხისა იყოო.

6) ფინიკიელებთან ვაჭრობის დროს საქართველო დაიპყრეს ბერძნებმა და სპარსელებმა; მაგრამ იმერლები და ოსები შეიყარნენ ერთად, ასტეხეს სპარსელებთან ომი, მოჰკლეს სპარსეთისაგან დაყენებული ერისთავი და განთავისუფლდნენ. ეი როგორ ამბობს ამაზე „ქართლის ცხოვრება“ მე-24-ს გვერდზე: რამეთუ მეგრისელები და ოვსნი ეზრახნენ ერთმანერთს და ჰპოვეს ერისთავი ველსა ზედა და მოჰკლეს იგი, და განთავისუფლდნენ

II

ძველ დროში, როცა სხვა და სხვა ეტიკეტები ჯერ არ იყო შამოღებული, მეცნიერები, ორატორები თავს იყრიდნენ მინდვრათ, ფორუმზე და ბაღებში და იქ ჰქონდათ სჯა და ბაასი საქვეყნო და სამეცნიერო საქმეებზე და საგნებზე; ეხლანდელ დროში კი სხვა და სხვა ზალები და კლუბებია გაშართული ამ გვარი შემთხვევისათვის, მაგრამ ამ სპეციალური სახლების გარდა დიდ ქალაქებში მაინც, საცა საზოგადო ცხოვრებამ ფრთა გამოისხა, ხშირათ გამოჩენილი კაცები ან ისეთი ახალგაზდები, რომელთ ჯერ საზოგადოების ყურადღება არ დაუმსახურებიათ, თავს შესაყარ ალაგათ ირჩევენ სასტუმროებს და ყავახანებს, უფრო ამ უკანასკნელს, რადგანაც ეს შეადგენს თითქმის ცენტრს ყოველ გვარი საზოგადოებისათვის.

ბამბეტამაც, როცა პარიჟში ჩამოვიდა, დაიწყო სიარული ერთ ყავახანაში, სახელდობ Café Procope. ამ ყავახანას მე-XVIII საუკუნეში დიდი სახელი ჰქონდა, რადგანაც აქ დადიოდნენ ამ დროის ფილოსოფოსები, ლიტერატორები და სხვა, როგორც: ჟან-ჟაკ-რუსსო, ვოლტერი, დალამბერი, დიდრო და სხვა გამოჩენილი კაცები. პროკოპის ყავახანას ეხლა ისევ გაუთენდა მეთერამეტე საუკუნის ბრწყინვალე დღეები. ბამბეტას, როგორც თაფლს ხუზი, ისე დასდევდნენ ახალ გაზდობა, ადვოკატები და სტუდენტები. აქ დაიწყო იმან პირველათ დაუცხრომელი ქადაგობა დემოკრატულ პრინციპებზე; აქ ჰქონდა იმას ცხელი ბაასი პოლიტიკაზე და საზოგადო ცხოვრებაზე; აქ ამ ახალგაზდა ადვოკატს, თავის მჭერ-მეტყველობით და საფუძვლიანის არგუმენტებით ხშირათ მოჰყავდა აღტაცებაში არათუ მარტო მისი მეგობრები, არამედ გარეშე მსმენელებიც და გამველელ-გამომველელი ხშირათ გაიგონებდა ყავახანაში ტაშის კვრას და „vive Gambetta“!-ს ძახილს.

ერთის სიტყვით, ჩამოსელისა თანავე პირიჟში, მან ახალგაზდობაში უპირველესი ორატორის სახელი დაიმსახურა; ამ ნაირივე სახელი დაიმსახურა მან სხვა და სხვა სასამართლოებში, სადაც მსველელობა ჰქონდა, როგორც ადვოკატს. მაგრამ ამ ნაირი ვიწრო წრეებში სახელის გავარდნა მისთვის საკმაო არ იყო, მის თავისმოყვარეობას არ აკმაყოფილებდა ეს; მას უნდოდა, რომ მთელს პარიჟში, მთელს საფრანგეთში მოეარა მის სახელს, გაეცნო თავი და მოეპოვა ღირსეული პატივისცემა თანამემამულეებში.

ამ ბედნიერ დღეზე დაბადებულს ეს სასურველი და სანატრელი დღეც გაუთენდა, თუ გინდ ცოტათი გვიან, მაგრამ უეცარი და უფრო ღირსეული. ეს წელი, ეს დღე მისთვის დადგა 1868 წელს.

ახლა ენახოთ, თუ რა შემთხვევამ გამოსწია წინ ის, როგორც პოლიტიკური ადვოკატი.

დ. დ.

(მაგრძელება)

ქართველნი, ხოლო რიანი (ბანჯა) და ჰერეთი (ქახეთი) დარჩათ სპარსთა. ეს შემთხვევა მოჰხდა 1496 წლის შემდეგ ქრ. დაბადების წინ.

7) რადგან ამ დროს ქართველებს ეშინოდათ სპარსეთის მძლავრობისა, ამისათვის მას ჟამსა შინა, სადაც ვინ მოვიდის, ოტებულნი საბერძნეთით, გინა ასურეთით, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველებმა შემწეობისათვის სპარსთა ზედა. ამ გვარის სტუმართ-მოყვარეობისა გამო საქართველოს მიწა-წყალზე ძალიან მრავალი სხვა-და-სხვა უცხო თემის ხალხები დასახლდნენ. ამ დროს მოვიდნენ ის 28 ათასნი თურქნი, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელს გაუძლიერდნენ, მცხეთის მახლობლივ სარკინეთში გახვრიტეს კლდე, გაიქცნენ და ახლა იწოდებიან დიდოელებად. ეს შემოსული ხალხები და ქართველები ერთმანერთს ძლიერ მეგობრობდნენ და ქართველების მეთაურობით იცავდნენ თავის-უფლებას.

ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ ამ ძველს დროში ქართველებს იმისთანა პოლიტიკა ეჭირათ, როგორიც უჭირავთ ეხლა რესპუბლიკურ სახელმწიფოებს. ქართველები არავის უარს არ ეუბნებოდნენ, ვინც კი მოინდომებდა იმათ მიწა-წყალზე დასახლებას, მაგრამ იმ პირობით რომ საქართველოსათვის არ ეღალატნათ და ემოქმედნათ ქართველ ერისათანა.

8) მაგრამ 605 წელს ნაბუქოდონოსორმა დაიპყრო საქართველო და ძალად დაასახლა მცხეთაში ურიები და მრავალი ქართველთაგანი კი შავ ზღვის პირისკენ გამოდევნა. მოსე ქორენელი ასურეთისა და ქალდეის ისტორიის მწერალის აბოდენი ბერძენის სიტყვით, მე-84-ს გვერდზე, ასრე ამბობს: „უძლიერესი ნაბუქოდონოსი ლიბიის ლერკულესსზე უსაშიშრო იყო; შეკრიბა ჯარები, დაეცა იბერიის ქვეყანას, აოხრა და დაიპყრო, და ერთი ნაწილი მცხოვრებლებისა წამოასხა და დაასახლა პონტიის ზღვის დასავლეთ მხარეს.“

ინგილო ჯანაშვილი

სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო უწყებისაგან გამოცხადებულია დაწვრილებითი სია პროვიანტისა, რომელიც მომავალი 1876 წლისთვის უნდა დამზადდეს კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში და სიმაგრეებში, სადაც კი ჯარებია დაყენებული. დაწვრილებითი პირობების შეტყობა ადგილობრივს სამხედრო სამმართველოებში შეიძლება და აგრეთვე „კავკაზში“ დაბეჭდილის განცხადებით.

△ კავკაზიის მაზრის საინჟენერო სამმართველო გამოიწვევს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით შემდეგი მუშაობა ვლადიკავკაზში: შეკეთება ტენგინის პოლკის ყაზარმებისა, აშენება ახალის ერთი ეტაჟიანი ფლიგელისა ლაბორატორიისათვის და ზოგი სხვა წვრილმალი მუშაობა, რომლისთვისაც დანიშნულია 12,636 და 89 კაპ.

ვაჭრობა იქნება თფილისში ინჟენერის სამმართველოში აგვისტოს 11-ს.

△ იგივე ინჟენერის სამმართველო აცხადებს, რომ აპშერონის პოლკისათვის უნდა აშენდეს იშკარტში: აბანო — 5,280 მანეთად და სამლოცველი მკვდრებისათვის — 3,523 მანეთად.

ვაჭრობა დანიშნულია თფილისში აგვისტოს 12-ს.

△ კავკასიის მაზრის ინჟენრების სამმართველოში გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ — 22,859 მანეთად და 59 კაპ. იჯარით აშენება ქუთაისის კადრის კამანდისათვის, 230 კაცისათვის ორ ეტაჟიანი ქვითკირის კაზარმისა ქუთაისში.

ვაჭრობა დანიშნულია თფილისში აგვისტოს 4-ს.

△ იგივე ინჟენერის სამმართველო გამოიწვევს მსურველებს შემდეგი მუშაობის იჯარით მისაღებელად: ქუსარაში უნდა დახუროონ ახალის ჟესტის სახურავით ორი ყაზარმა, რომელშიაც შირვანის პოლკი დგას. ამ მუშაობისთვის 16,060 მანეთი და 96 კაპეიკია დანიშნულია.

ვაჭრობა იქნება თფილისში აგვისტოს 8-ს ინჟენერის სამმართველოს სადგომში.

△ მომავალი სეკტემბრის 8-ს თფილისის გუბერნიის სამმართველოში დანიშნულია ვაჭრობა; გაისყიდება 1) ორთაჭალის ორი სახელმწიფო ბაღი და 2) ბორში ერთი სახელმწიფო დუქანი.

განცხადებანი

მასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსაამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ, **გიმნაზიის ოთხ კლასამდი გასავლელ რუსულ ენაში და სხვა საგნებშიდაც** იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში, ან სხვა სასწავლებლებში არიან და ვაკაციების დროს მომზადება ეჭიერებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

ადრესი იკითხეთ: თფილისში, „დროების“ რედაკციაში, ყორლანოვის სახლებში, მოლნინის მოედანზე.

შეგირდების სადგომი

ქუთაისში არსებულ სასწავლებლების მართებლობისა ნებადართვით, 1875 წლის 25 აგვისტოდამ ქუთაისში ესხნი **„შეგირდების სადგომის,“** რომელსაც ექმნება შემდეგი მიზანი: ა) რომ, იყოლიოს მოსწავლე ყმაწვილები სუფთად, წმინდათ და საზრდოს მხრით სამყოფად; ბ) რომ, ამეორებიოს ანუ მოამზადოს ამისთანა ყმაწვილები საგნებისა და ენებისა გაკვეთილებში (ურროკებში), რომელთაც მათ ასწავლიან იმ სასწავლებლებში, სადაც ისინი მოსწავლე-შეგირდებათ ითვლებიან; გ) რომ, იხმაროს ყოველ-გვარი საშუალება მოსწავლე ყმაწვილების გონებისა და ზნეობის გაუმჯობესობისათვის; დ) რომ, დაეხმაროს იმათს ფიზიკურს სიმრთელეს, რადგან მეცნიერობის სიტყვით, გონებითი სიძლიერე მოსწავლე ყმაწვილისა შეუძლებელია — თუ კი ის ფიზიკურათ სუსტი ან ავათმყოფი არის და ე) რომ, იყოლიოს ხელმძღვანელოებათ ყოველის მხრით საიმედო ყმაწვილი კაცები, რომელთაც სწავლა ან უნივერსიტეტში, ან გიმნაზიაში და ან სემინარიაში აქვსთ მესრულებული. — ერთის სიტყვით „სადგომი“ ყოველ-გვარ საშუალებას იხმარს, რომ ერთის მხრით სასწავლებლების მთავრობისა და მეორეს მხრით თავათ ყმაწვილების მშობლებისაგან მასზე დამყარებული იმედი არ გააწბილოს.

„სადგომი“ იხსნება უმთავრესად „სრული პანსიონერებისათვის“.

მშობელი, რომელსაც თავისი შვილი ამ პირობით შემოჰყავს „სადგომში“, იხდის წელიწადში 350 მან. ამ ფულს გარდა პირველ წელიწადს ყმაწვილს მოსელისათანავე თან უნდა მოჰყვეს:

ა) ერთი ხელი წმინდა ტანისამოსი იმ სასწავლებლის ფორმისა, სადაც ყმაწვილი მოსწავლე შეგირდათ ითვლება,

ბ) ქვეშსაგები: ლეიბი, ბალიში, მუთაქა, საბანი და კრაოტი ან ფასი იმისანი კრაოტისა, როგორსაც „სადგომის“ მზრუნველი არჩევს,

გ) სამი ხელი წმინდა ტილოს საცვალი (პერანგები და მისი ამხანაგები);

დ) ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნები, რაც „სადგომის“ მზრუნველის რჩევით, მოსწავლე ყმაწვილისათვის საჭირო იქნება.

ეს ენი მოაქვს „სრულ პანსიონერს“ მისელისათანავე წელიწადში 350 მან. ერთად, და შემდეგ წლებში კი — რამდენხანსაც ყმაწვილი „სადგომზე“ დარჩება ყოველ-წლით 350 მანეთში — გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა, რომლისთვისაც ყოველთვის მშობელმა უნდა იზრუნეოს, „სადგომის“ მზრუნველზე იქმნება: სადგომი, საზრდო, სწავლა, ტანისამოსი და ერთის სიტყვით ყოველ-გვარი საჭიროება, რაც კი ყმაწვილს დასჭირდება.

ფულის შემოტანა შეიძლება: ან მთელი წლის ერთად პირველ სექტემბერს და პირველ მარტს და ან წელიწადში სამჯერ ისევ პირველი სექტემბერს, პირვ. იანვარს და პირვ. მაისს.

მშობელი, რომელსაც ჰსურს ყმაწვილი „სადგომიდამ“ გაიყვანოს, ვალდებულია ეს სურვილი **ორი თვის** წინათ შეატყობინოს „სადგომის“ მზრუნველს. ფული რაც შემოტანილია, მშობელს, ყმაწვილის გაყვანის დროს, უკან აღარ დაუბრუნდება.

ჯერ-ჯერობით „სადგომის“ შესახებ ყოველ-გვარი რჩევის და საქმისათვის, ენდა მიჰმართონ: ქ. ქუთაისს, სილანე უ. სვიმონ მესხის სახლებში.

„სადგომის“ მზრუნველი ივ. მესხი

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილა. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარსკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 28 ივლისს.

ერთი მანეთი ლირს:

ლონდონში $33^1/_8$ პენსი.	—	84
პარიჟში $351^3/_4$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	75
მოგებიანი (პირველისესხი)	267	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	267	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	50
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	213	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 30 ივლისს		
პური შორაგალის ფთ.	1	15
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	50
— ამერიკისა, ფუთი. .	4	50
გაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	80
— თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	55
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	65
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	40
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	89

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Августа 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.